ЖУРНАЛ ДЛЯ ЖЕНЩИН ВОСТОКА ИЗДАЕТСЯ С ЯНВАРЯ 1929 ГОДА

№ 1 (222) 13-28 ЯНВАРЯ 1969 г.

ФРУНЗЕНСКАЯ ФАБРИКА ЧУЛОЧНО-НОСОЧНЫХ ИЗДЕЛИЙ


Фабрика была построена в 1932 году. Сейчас она выпускает в год 6 миллионов пар чулок и носков. Здесь работают 1200 человек, из них 1000 женщин.

Фабрика имеет свой рабочий поселок, где построены общежития, столовая, клуб, ясли-сад, поликлиника.

Фабрика ведет большую культурно-массовую работу среди своих рабочих. Здесь организованы кружки художественной самодеятельности, спортивные секции, работают курсы повышения квалификации.

Фабрика имеет свой рабочий поселок, где построены общежития, столовая, клуб, ясли-сад, поликлиника.


Фабрика ведет большую культурно-массовую работу среди своих рабочих. Здесь организованы кружки художественной самодеятельности, спортивные секции, работают курсы повышения квалификации.







ოფიციალური ცნობები, კომენტარები...



მეგობრული ვიზიტით

ზემო ავსტრიის მხარის მთავრობის მეთაურის დოქტორ გლაისნერის მიწვევით ამას წინათ ავსტრიაში იმყოფებოდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გივი ჯავახიშვილი მეუღლითურთ. მოგზაურობის დროს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს ახლდნენ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **გივი მიქელაძე**, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სამდივნოს გამგე **გივი ხუნდაძე** და თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი **ნოდარ კაკაბაძე**.

ავსტრიის მიწაწყალზე გივი ჯავახიშვილი შეხვდა და ესაუბრა ავსტრიის ფედერალურ კანცლერს ბატონ იოზეფ კლაუსს, საგარეო საქმეთა მინისტრს ბატონ ვალდჰაიმს, ზემო ავსტრიის მთავრობის მეთაურს გლაისნერს, ვენის ვიცე-ბურგომისტრს სლავიკს, სხვა ოფიციალურ პირებსა და საქმიანი წრეების წარმომადგენლებს. საქართველოს წარგზავნილებმა დაათვალიერეს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, სამედიცინო და კულტურული დაწესებულებები. ავსტრიის საზოგადოებრიობა ყველგან გულთბილად ხვდებოდა საბჭოთა საქართველოს წარმომადგენლებს. ოფიციალურ და კერძო საუბრებში გამოთქვა სურვილი ავსტრიასა და საბჭოთა კავშირს, კერძოდ, საქართველოს, რესპუბლიკას შორის ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული ურთიერთობის გაფართოების შესახებ.

გივი ჯავახიშვილისა და მისი თანმხლები პირების პატივსაცემად ფედერალურმა კანცლერმა კლაუსმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა ვალდჰაიმმა და ზემო ავსტრიის მთავრობის მეთაურმა გლაისნერმა გამართეს დარბაზობა.

სსრ კავშირის დროებითმა წარმომადგენელმა ავსტრიაში ავრამოვმა ჯავახიშვილის პატივსაცემად გამართა მიღება, რომელსაც დაესწრნენ ავსტრიის მთავრობის წარმომადგენლები, საქმიანი წრეებისა და აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნების საელჩოთა ოფიციალური წარმომადგენლები.

ვენიდან გამომგზავრების წინ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ განაცხადა: „ავსტრიას ვტოვებთ დიდი შთაბეჭდილებებით... გვინდა აღვნიშნოთ, თუ რა დიდი გულითადობითა და ყურადღებით მიგვიღეს ავსტრიის მიწაწყალზე. ჩვენი ვიზიტი იყო ერთ-ერთი ღონისძიება, რომელიც ხელს შეუწყობს ავსტრიასა და სსრ კავშირს შორის ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას“.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ თბილისში გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ გივი ჯავახიშვილმა ილაპარაკა იმ დიდ ინტერესზე, რომელიც ავსტრიის საზოგადოებრიობამ გამოიჩინა ქართველი ხალხის ცხოვრების, ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურისადმი.

სურათზე: გივი ჯავახიშვილს ვენის ვიცე-ბურგომისტრ ფელიქს სლავიკთან ვიზიტის დროს თავისი შთაბეჭდილებები შეაქვს ვენის საპატიო სტუმართა წიგნში.

სურათი გადმობეჭდილია ჟურნალ „შტადტ ვინი“-დან.

ეპოქალური მოვლენა

ჩვენი ინტერვიუ

მთვარეზე ადამიანის გაფრენამ ქართველი ხალხის გულწრფელი აღფრთოვანება გამოიწვია. „სამშობლოს“ კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა ცნობილ მეცნიერს, აკადემიკოს ევგენი ხარაძეს აბასთუმნის ობსერვატორიაში და სთხოვა კომენტარი გაეკეთებინა ეპოქის ამ უდიდესი მოვლენისათვის.

კოსმოსური სივრცის ათვისებაში მოპოვებულ მიღწევათა მნიშვნელობა კაცობრიობის ტექნიკური, მატერიალური და კულტურული პროგრესისათვის სათანადო სისრულით მხოლოდ მომავალში შეფასდება. თამბიდან თამბაში გადავა უჭკნობი და მარადიული დიდება იმ ადამიანებისა, რომელთაც პირველებმა გაკაფეს ცის მნათობებისაკენ ესოდენ დიადი, მაგრამ ძნელად სავალი გზა.

დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც კოსმოსურ სივრცეში გმირულად შეიჭრა მსოფლიოს პირველი მფრინავი — კოსმონავტიური გაგარინი. მისმა წარმატებითმა ფრენამ დაამტკიცა კოსმოსურ სივრცეში ადამიანის არსებობისა და შრომითი მოღვაწეობის რეალური შესაძლებლობა და, შეიძლება ითქვას, საგზური მისცა პლანეტის ადამიანებს ცის მნათობებისაკენ სამგზავროდ.

მართლაც, შემდეგ წლებში ჩვენს თვალწინ აიკინძა უმაგალითო ექსპერიმენტები: საბჭოთა და ამერიკელ კოსმონავტთა ჯგუფური ფრენა, ხომალდიდან კოსმოსურ სივრცეში გასვლა, შედგენილი ხომალდების სრბოლა, მათი დანაწილება და კვლავ შეერთება და სხვა, ერთიმეორეზე უფრო რთული, უფრო მნიშვნელოვანი, მაგრამ ერთნაირად ბრწყინვალე და ადამიანის გონებისა და შრომის უსაზღვრო შესაძლებლობებისადმი თაყვანისცემისმომგვრელი აღსრულებანი.

კოსმოსური ერის ამჟამინდელი ეტაპი შესანიშნავად დაგვირგვინა „აპოლონ-11“-ის მამაცმა ეკიპაჟმა, რომელმაც ოსტატურად და ნატიფად შეასრულა მთვარემდე მისვლის, მთვარეზე დაშვების, მის ზედაპირზე ნაყოფიერი მუშაობისა და შინ, დედამიწაზე მშვიდობით დაბრუნების რთული და ხანგრძლივი ექსპედიცია.

გულითადი მილოცვისა და შექების ღირსია ეს შესანიშნავი სამეული — ნეილ არმსტრონგი, ედვინ ოლდრინი და მაიკლ კოლინზი.

წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო შედეგებს უნდა მოველოდეთ უახლოეს დროში, როცა მთვარის ნიადაგის ფართო კომპლექსური ქიმიურ-ფიზიკური ანალიზი გაკეთდება. მეცნიერებისათვის ფასდაუდები განძია მთვარიდან მოტანილი ნიადაგის ნიმუშები. ასევე საინტერესო შედეგებს უნდა მოველოდეთ მთვარეზე დატოვებული სეისმური აპარატის მუშაობისაგან. მისმა ჩანაწერებმა უნდა გვამცნოს, რამდენად აქტიური პროცესები მიმდინარეობს მთვარის წიაღში ან რამდენად ინტენსიურია მთვარეზე მეტეორიტების ცვენა. ყოველივე ეს შუქს მოჰფენს მთვარის ხნოვანებას და დედამიწისა და მთვარის წარმოშობა-განვითარების პრობლემას.

ტექნიკური თვალსაზრისით, კიდევ ერთხელ დამტკიცდა და უფრო ნათლად გამოიკვეთა პლანეტათაშორისო მოგზაურობის რეალური პერსპექტივა.

და, ბოლოს, ის ნატიფი ტექნიკა მართვის, კავშირგაბმულობისა და მედიცინა-ფიზიოლოგიის დარგებში, რომელიც კოსმონავტიკაში ასე საიმედოდ და წარმატებით იჩმარება და კიდევ მრავალგზის გამოიყენება ავტომატური სადგურებისა და ხომალდების ფრენაში, ისევ დედამიწას დაუბრუნდება და კაცობრიობის ყოველდღიურ „მიწიერ“ საჭიროებას მოემსახურება.

ადამიანთა საზოგადოების შემდგომი განვითარება, მთელი საერთაშორისო ურთიერთობა და ცხოვრება ეჭიდრო კავშირშია მეცნიერებისა და ტექნიკის წარმატებებთან. მიღწევებს, კერძოდ, კოსმონავტიკის დარგში, ამ მხრივ ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს.

გვწამს, რომ კოსმოსის თვალუწვდენ სიკრცეებში მეცნიერებისა და ტექნიკის ამჟამინდელ გამარჯვებათა ბრწყინვა კი არ დარჩება მარტო ადამიანის გონების მარადიულ ქებად, არამედ აგრეთვე მოწმობადაც გონიერებისა, რომლის წყალობით მოპოვებული გამარჯვებანი ხალხთა შორის მშვიდობიან შემოქმედებითს თანამშრომლობას უზრუნველყოფს.

ევგენი ხარაძე,
აბასთუმანი.



● ნეილ არმსტრონგი



● მაიკლ კოლინზი



● ედვინ ოლდრინი

მინდვრად გატანილი სიმღერა

ჩამოცხა. ახლა სოფელში ყოფნას რა სჯობია. წამოწვები ჩრდილში, დალევ წყაროს წყალს, გულ-მკერდს გრილ ნიავს მიუშვერ. ატამი, ვაშლი, მსხალი ალუბალი... რა უნდა ინატრო, კეთილი მასპინძლის ბაღს რომ აკლდეს. ერთია, თვითონ არის მოუცლელი. შეიძლება მთელი თვე ისე ჩათავდეს, შენთან რიგიანად პურიც ვერ გატეხოს, ვერ გითამადოს, სტუმარ-მასპინძლობის შნო და ლაზათი ვერ გიჩვენოს. არც გაემტყუნება — მკათათვეა და ნაჯაფი უხმობს. დამძიმებული თავთავი შინ არავის აჩერებს, დიდსა თუ პატარას სამკალში ეძახის.

პური რომ ქვეყნის სიმდიდრეა, გლეხკაცს არ ესწავლება. იცის და აკი ირჯება კიდეც, მამლის ყივილს ასწრებს ფეხზე ადგომას. — ათ დღეში დავამთავროთო ალოობა! — ასეთია სოფლის მშრომელთა გადაწყვეტილება. გაბედული განაცხადია, მაგრამ სიტყვის გატეხას შეუჩვეველნი ახლაც გაიტანენ ლელოს. „მოკავშირეც“ საიმედო ჰყავთ — კომბაინის საჭე მამაპაპური ნამგალივით დამჯერე და ერთგულია მათ ხელში. „მინდვრის ხომალდი“ ხვავსა და ბარაქას ამკვიდრებს სოფელში. ახლა ჩვენში ცოტა როდია ისეთი მექანიზატორი, დღეში 40-45 ტონა მარცვალს რომ იღებს.

ადამიანისა და ტექნიკის შეერთებული ბრძოლა დოვლათისათვის, მთად დამდგარი კალოები, შარაგზაზე ერთმანეთს ადევნებული პურით დატვირთული მანქანები და, ბოლოს, მინდვრად გატანილი „ჰოპუნა“ ყველგან ერთნაირად ხიბლავს და ატკბობს მწარაველის თვალს. მაგრამ შირაქსა და ივრისპირეთში დამდგარი შრომის ფერხული მაინც სულ სხვაა. თვითონ განსაჯეთ: 12 ათასი ტონა მარცვლის ნაცვლად სახელმწიფოს 30 ათასს მიჰყიდიან. საკუთრივაც ცოტას როდი დატოვებენ. წლეულს ამ მადლიან კუთხეში გალეწილი მარცვალი 70 ათას ტონას გადააჭარბებს. საერთო საქმეში ერთნაირი წვლილი შეაქვთ ზემომაჩხაანელ, თუ ზემო და ქვემოქედელ, ჯაფარიძელ თუ არაბოშიკელ კოლმეურნეებს...

ალოობა, ალოობაა საქართველოში. დაპურებულა ჯეჯილი, ყანად ქცეულა. ბეღლები მარცვლით ივსება, გლეხკაცის გული კი — სიხარულით. კიდევ ცოტა და, მინდვრად გატანილ სიმღერას ისევ შინ დააბრუნებს. შემდეგ კი იმ დალოცვილი ზვრებისაკენ წაიღებს.

რეზო მამალაძე

ფინანსების ციფრები


ამ დღეებში რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობა საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების **1969** წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ.

მასში ნათქვამია, რომ საქართველოს მშრომელებმა განვლილ პერიოდში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. მაგალითად, მრეწველობაში პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის გეგმა შესრულდა **100,9** პროცენტით. კარგად იშრომეს სოფლის მშრომელებმაც. მათ წარმატებით დაამთავრეს მინდვრის საზაფხულო სამუშაოები და უკვე შეუდგნენ მოსავლის აღებას.

ქართველ მშენებელთა თავდადებული შრომით ამოქმედდა **106** მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები, მწყობრში ჩადგა **190** ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები და სხვა.

სტატისტიკური სამმართველოს ცნობაში მოტანილი ციფრები დაწვრილებლად მიუთითებენ ქართველი ხალხის კეთილდღეობის შემდგომ ამაღლებაზე.

ალოობაა, ალოობა!



ტაუს უკრავს პრალა

თბილისის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოს კლუბის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „სინათლე“ საერთაშორისო ფესტივალების მრავალგზის ლაურეატია. ანსამბლს ტაშს უკრავდნენ ბელგიაში, უნგრეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ფინეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და სხვა ქვეყნებში.

ამ რამდენიმე დღის წინ „სინათლე“ ჩეხოსლოვაკიიდან დაბრუნდა. მისმა ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა მურმან ლომთათიძემ „სამშობლოს“ კორესპონდენტთან საუბარში აღნიშნა, რომ მხატვრული თვითმოქმედების წარმომადგენლები ჩეხოსლოვაკიაში 14 დღეს უნდა დარჩენილიყვნენ, მაგრამ მაყურებელთა დაჟინებული თხოვნით გასტროლების განაწესი დაირღვა — სტუმართმოყვარე ქვეყანაში მთელი თვე დარჩნენ.

„სინათლეს“ კონცერტებს, რომლებიც პრაღაში, შუმბერკში, კლანოში, სეჩში, ბრატისლავსა და სხვა ქალაქებში გაიმართა, ათასობით მაყურებელი დაესწრო. როგორც ჩანს, დარბაზი ყველა ცეკვის განმეორებას მოითხოვდა. სიმღერებიდან განსაკუთრებით „სულიკო“ მოსწონდათ. სცენაზე ამღერებულებს ხშირად მთელი დარბაზი ყვებოდა.

„სინათლე“ ახლა თბილისშია და ახალი გასტროლებისათვის ემზადება.

◆

შეიქმნება პაექრობა


ბულგარეთში გაიმართა დიდი შემოქმედებითი პაექრობა—ბულგარეთის სახელმწიფოს დამაარსებლის ხან ახპარუხის ძეგლის საუკეთესო პროექტის მსოფლიო კონკურსი. მასში სსრ კავშირიდან მხოლოდ ელგუჯა ამაშუკელი — ვახტანგ გორგასლისა და ქართველის დედის ავტორი და არქიტექტორი ვახტანგ დავითაია მონაწილეობდნენ.

კონკურსში საბოლოო შეჯელობისათვის 80 ნაწარმოები დაუშვეს. ჟიური ალზე მკაცრი გამოდგა:— პირველი პრემია არც ერთ მათგანს არ მიჰკუთვნებია. ქართველი ავტორების პროექტი მოხვდა საუკეთესოთა შორის და ახპარუხის სახელობის ეროვნულმა მუზეუმმა შეიძინა. ჟიურის გადაწყვეტილებით ძეგლის შესაქმნელად კვლავ გამოცხადდა ახალი ტური, რომელშიც პერსონალურად ამაშუკელი და დავითაიაც მიიწვიეს.

◆

ლუის სოლანოს ლექცია

ვარვარდის უნივერსიტეტში პროფესორთა და სტუდენტთა სამეცნიერო აუდიტორიის წინაშე ამერიკელმა პროფესორმა **ლუის სოლანომ** წაიკითხა ლექცია თემაზე **„კურტუაზული სიყვარული შუა საუკუნეების ქართულ პოეზიაში“**. მოხსენება ძირითადად მიეძღვნა რუსთაველის და მისი პოემის ადგილსა და მნიშვნელობას შუა საუკუნეების მსოფლიო პოეზიაში.



კიდევ ერთი ალიარება

და ფულადი ჯილდო ერთხმად მიენიჭა ჩვენს სახელოვან თანამემამულეს აკადემიკოს ნიკოლოზ მუსხელიშვილს. იგი პირველი საბჭოთა და მეექვსე მსოფლიო მეცნიერია, რომელმაც ეს დიდი ჯილდო დაიმსახურა.

აკადემიკოს მუსხელიშვილის მრავალი გამოკვლევა დაკავშირებულია იტალიელ მათემატიკოსთა შრომებთან. იტალია იყო უცხოეთის პირველი ქვეყანა, სადაც დიდი იტალიელი მათემატიკოსის ვიტო ვოლტერას წარდგინებით დაიბეჭდა ჩვენი თანამემამულის ნაშრომი.

ტურინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი პროფესორი კარლო ფერარი ჩვენს სახელოვან მეცნიერს სწერს: „გილოცავთ დაჯილდოებას აკადემიის და პირადად ჩემი სახელით და გთხოვთ ჩამობრძანდეთ იტალიაში პრემიის მისაღებად 1969-1970 აკადემიური წლის გახსნის ზეიმზე ამ წლის ნოემბერში. ტურინში თქვენს ჩამოსვლასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს ჩვენ გავიღებთ...

მიიღეთ ჩემი საუკეთესო სურვილები“.

ნიკოლოზ მუსხელიშვილი სამოვნებით დათანხმდა იტალიელი მეცნიერების მიწვევას.

ქსოვლის გზებზე

ჩვენი ინტერვიუ

ჭეშმარიტად დიდი წარმატება

საქართველოს თეატრალურ ცხოვრებაში წლეულს ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო პოლონეთის ქალაქ ლოძის საოპერო თეატრის გასტროლები თბილისში და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სახასუხო სტუმრობა პოლონეთში. ლოძელთა გასტროლები თითქმის ოც დღეს გაგრძელდა. თბილისელები ინტერესით შეხვდნენ მოძმე ხალხის ხელოვნებას, მათს დადგმებს გულთბილად გამოეხმაურა პრესა. როგორც პოლონური ჟურნალ-გაზეთებიდან ჩანს, ჩვენი ხელოვნების წარგზავნილებმაც დაიმსახურეს პოლონელი მაყურებლის მოწონება და სიყვარული.

მაგრამ მოვუსმინოთ თვით ოპერის დირექტორს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს **დიმიტრი მჭედლიძეს:**

— პირველ დადგმად ლოძელებს ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი „დაისი“ ვუჩვენეთ. სპექტაკლს ესწრებოდნენ სსრ კავშირის ელჩი პოლონეთში ავერკი არისტოვი და საელჩოს მუშაკები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, დიდძალი მაყურებელი.

„დაისი“ კარგად მიიღეს. ყოველ არიას, ცეკვას, ანსამბლს ხანგრძლივი ტაშით აჯილდოებდნენ. მოწონება დაიმსახურა დავით თორაძის ბალეტმა „გორდამ“, გლინკას კლასიკურმა ოპერამ „რუსლან და ლუდმილამ“, მინკუსის ბალეტმა „ბაიადერამ“, მასკანის „სოფლის პატიოსნებამ“, დონიცეტის კომიკურმა ოპერამ „დონ პასკუალემ“, ვერდის „ტრუბადურმა“.

მთელი ჩვენი კოლექტივი განსაკუთრებით ღელავდა ოთარ თაქთაქიშვილის „ორი ნოველისა“ და სულხან ცინცაძის „ქორეოგრაფიული პოემის“ ჩვენების წინ. საქმე ის არის, რომ მანამდე მხოლოდ კლასიკურ ქმნილებებს ვუჩვენებდით, ახლა კი ლოძელები თანამედროვე ქართული საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებებს უნდა გასცნობოდნენ. წარმოდგენის შემდეგ პოლონელმა კომპოზიტორებმა განაცხადეს, რომ „ორი ნოველა“ თანაშედროვე მუსიკალური ენით არის დაწერილი და მას ნამდვილი შემოქმედის ხელი ეტყობაო. ასევე თბილად გამოეხმაურნენ სულხან ცინცაძის „ქორეოგრაფიულ პოემას“, რომელიც პოლონელებისათვის კარგად ცნობილმა ბალეტმაისტერმა ალექსანდრე ჭიჭინაძემ დადგა.

ლოძის „ექსპრესი“, „ლოძელი მუშა“ და სხვა გაზეთები სისტემატურად აქვეყნებდნენ რეცენზიებს. აი ზოგიერთი ამონაწერი: „დაისი“ არა მარტო ლოძისათვის, არამედ მთელი პოლონეთისათვის არის უდიდესი მნიშვნელობის „კულტურული მოვლენა“, „თბილისის თეატრი გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ახდენს, იგი მომხიბლავია“, „შემსრულებელთაგან ძალზე ძნელია გამოვყოთ რომელიმე მომღერალი. იშვიათად შეხვდება კაცი ერთ წარმოდგენაში ასე ერთნაირად საუცხოო შემსრულებლებს;“ „რუსლან და ლუდმილა“ უმაღლესი კლასის არტისტული ლხინი იყო“ და მრავალი სხვა.

მართალია, თავიდანვე პროგრამით არ იყო გათვალისწინებული წარმოდგენების ჩვენება სხვა ქალაქებშიც, მაგრამ პოლონეთში ისე დაინტერესდნენ ჩვენი გასტროლებით, რომ დამატებითი გვთხოვეს 21 ივნისს „დაისი“ ვარშავისათვის გვეჩვენებინა.

და აი ვარშავა. აჟიერდა დიდებული „დაისის“ პირველი აკორდები. პირველი ტაში. ჯერ მხოლოდ თავაზიანობის გამომხატველი. შემდეგ კი ფეხზე წამომდგარმა მაყურებელმა ნამდვილი ოვაცია გაგვიმართა. ეს იყო ჭეშმარიტად დიდი წარმატება.

წარმოდგენას ესწრებოდნენ პოლონეთში აკრედიტებული ყველა საელჩოს წარმომადგენლები. იმავე საღამოს ჩვენმა ელჩმა დიდი წვეულება გამართა. მისასალმებელ სიტყვაში მან აღნიშნა, რომ ორი თეატრის გასტროლები გადაიზარდა დიდი მნიშვნელობის პოლიტიკურ ღონისძიებად. საპასუხო სიტყვაში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის მინისტრმა ლუციან მოტიგამ განაცხადა, რომ ორი კოლექტივის გაცვლა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ, დიდ მოვლენად იქცა. თბილისის თეატრი, აღნიშნა მან, არის ერთ-ერთი საუკეთესო კოლექტივი ევროპაში, რომელიც თავის სამშობლოს, საქართველოს, მის კულტურას შორს გაუთქვამს სახელსო.

ჩვენი თეატრის გასტროლებს რამდენიმე სასიხარულო ამბავი მოჰყვა: გაისისათვის გასტროლებზე მიგვიწვიეს ვარშავაში, ბერლინში, რუმინეთის ქალაქ კლუჟის სახელგანთქმულ მუსიკალურ ფესტივალზე, იტალიის ზოგიერთ ქალაქში. დირიჟორი ჯანსულ კახიძე მიწვეულია რამდენსამე ქვეყანაში სიმფონიურ კონცერტებზე. ვახტანგ ჭაბუკიანსა და ვახტანგ ფალიაშვილს პოლონეთის კულტურის სამინისტრომ შესთავაზა პოზნანში ალექსი მაჭავარიანის ბალეტ „ოტელოს“ დადგმა.

საპატიო დოქტორი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის კათედრის გამგე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დავით ლორთქიფანიძე აირჩიეს ბრატისლავის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად.

პროფესორი ლორთქიფანიძე 30 წელიწადზე მეტია სწავლობს დიდი ჩეხი პედაგოგის იან ამოს კომენსკის მემკვიდრეობას. ქართველი სწავლული ბევრი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. ახლახან გამოიცა მისი მონოგრაფია, რომელიც ჩეხი ხალხის გამოჩენილ შვილს ეძღვნება. წიგნმა სპეციალისტთა საუკეთესო შეფასება დაიმსახურა. მას თარგმნიან და გამოსცემენ ჩეხოსლოვაკიაში.



გილოცავთ, ირინე!

დღეს ირინეს ძალზე უჭირს გვესაუბროს მომავლის გეგმებზე. და ეს გასაგებიც არის. როცა ასეთ დიდ კონკურსში იმარჯვებ, როცა კლასიკური ცეკვის ლაურეატი ხდები, — ძნელია თავი მოუყარო გაღიმებულ ტუჩებს, ბავშვივით არ გაიხარო და არ იმხიარულო — 33 საცეკვაო წყვილი, 21 სოლისტი მსოფლიოს 20 ქვეყნიდან — ყველა ცნობილი, სახელგანთქმული. მესამე საერთაშორისო პრემია და ბრინჯაოს მედალი — აი რა დიდ წარმატებას მიაღწია ირინე ჯანდიერმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა, ვახტანგ ჭაბუკიანის საყვარელმა აღზრდილმა.

ირინე ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ქორეოგრაფიული სასწავლებლის დამთავრებისთანავე მოვიდა. მას შეუსრულებია წამყვანი პარტიები ბალეტებში: „გედის ტბა“, „მძინარე მზეთუნახავი“, „ბაიადერა“, „გორდა“, „ბალეტის საღამო“, „ქორეოგრაფიული ნოველები“, „შოპენიანა“, „უიზელი“, „ლაურენსია“. აქვს მრავალფეროვანი საკონცერტო პროგრამა. მის მიერ შესრულებული თვითეული სახე გამოძერწილია დიდი ოსტატობით, ხასიათდება გამოკვეთილი პლასტიკურობით, ქორეოგრაფიული ფრაზის გააზრებით.

გილოცავთ, ირინე! კიდევ მეტ წარმატებას, ახალი შემოქმედებითი მწვერვალების დაპყრობას გისურვებთ.

ო, ენავ ჩემო, ღმერთო ენავ...

გულგრილნი ვერ დავრჩებით

ამირან ცამციშვილი

ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ საკმაოდ ბევრი ქართველი ცხოვრობს. მათ შორის ცოტა როდია ისეთი, რომელიც მწვავედ განიცდის სამშობლოსაგან სიშორეს, ჩვენი დედაენის თანდათანობით დავიწყებას. შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხო მათი ბარათები: — „იცით, რომ აქაური ქართველები ბევრი ხანია ქართულ კულტურაზე შორდარჩენილნი ვართ, — ვკითხულობთ ერთ წერილში, — ბევრმა ქართული არ ვიცით, ეს მწარეა, მაგრამ მართალიცაა. ბევრს ქართული ჩვეულება დავიწყებული გვაქვან... ვინ ვართ, რა ვართ, საიდან მოვსულვართ, სად მივდივართ, არ ვიცით. ამისათვის ბევრი ვიკარგებით, ქართველობა გვავიწყდებიან... ამაზე მაყურებელი ვერ დავრჩებით!“.

ხშირად ჩვენი თანამემამულენი გვთხოვენ მივაწოდოთ ქართული ენის სახელმძღვანელო. „აქ ბევრი ქართველები არიან, — იწერება ერთი მათგანი, — მთხოვენ „დედაენას“ და მეც დავპირდი მათ. თუ შეიძლება გამომიგზავნეთ 10-15 ანბანი“. ცხადია, მათი მოთხოვნა უპასუხოდ არ დარჩენილა: „დიდი და ღირმესი მადლობა წიგნებისათვის. თქვენი ამფერი დახმარება მივა მის ადგილზე და არ იკარგვის. ესენი ერთნაირი თესლია და ნერგია. დრო მოვა, ამწვანდება და აყვავდება“...

იტალიური ბელკანტოს ცნობილი ოსტატი სონია დუმბაძე, რომელიც სამშუახაროდ, წლეულს გარდაიცვალა მილანში, თავის ერთ-ერთ წერილში ასე ჩიოდა:

„ცოტა არ იყოს მცხვენია ქართულათ წერილის დაწერა, რადგანაც მე ქართული არც ლაპარაკი და არც წერა არ ვიცი, როგორც მე ვისმინე საბჭოთა საქართველოში. სწორეთ ჩემზედ დიდი ჩაბეჭდილება დატოვა თქვენ ასეთ შესანიშნავ ენამ და სწორეთაც ამიტომ ვერ ვბედავ ერთი დიდი წერილი მოგწეროთ. არაუშავს, თქვენ მიხვდებით თუ რას ნიშნავს 42 წელი უცხოეთში ცხოვრება და არასდროს არა ჭონდეს შემთხვევა ქართულის ლაპარაკის... ძლიერ ცუდი არის შორს ყოფნა, წერილებს აგვიანდება და მე კი მოლოდინში სულ ვიტანჯები“.

ქართული ენის უცოდინარობა განსაკუთრებულ უხერხულობას ჰგვრის საფრანგეთში დაბადებულ და აღზრდილ ახალგაზრდებს. ხშირად მათი მშობლები შემოგვჩივიან: „შვილი მეღუპება, ერთადერთი შვილი! დაღუპვა ჰქვია, აბა რა არის, როცა ქართველმა კაცმა ქართული ენა არ იცის!“

საქართველოში სტუმრად იყო საფრანგეთის მცხოვრები გიორგი ყალაბეგაშვილი, რომელმაც სინანულით აღიარა: „ჩემს ცოლ-შვილსაც ძალიან ენატრება, სურვილი აქვთ საქართველოსი და ჩემიანების ნახვაც ცნობისა. ბევრიც მთხოვეს, მაგრამ მე ვამჯობინე მარტოკა წამოვიდე, მრცხვენიან და ძალიანაც დავიტანჯებოდი, რომ ჩემს ქვეყანაში, ჩემს სამშობლოში მე თვითონ ვიყო თარჯიმანი ჩემი ოჯახის წევრთა“. ალბათ, მიხვდებით, რა უხერხულობას განიცდიდა ჩვენი სტუმარი, როცა მას გურჯაანელი ნათესავები ეკითხებოდნენ, თქვენი შვილები ქართულად ხომ ლაპარაკობენო...

დედ-მამაზე ნაკლებ როდი აწუხებთ ქართული ენის უცოდინარობა მათ შვილებს: ისინი ყველაფერს უფროსებს აბრალებენ: — შინ ჩვენთვის არავის სცალია, რომ მოიცალონ კიდეც, სათანადო სახელმძღვანელო არა გვაქვსო.

ამ რამდენიმე წლის წინათ საქართველო და ნათესავები მასპინძლობდნენ საფრანგეთიდან ჩამოსულ ნოელ გუნიას. განცდილმა სიხარულმა, ნანახმა თუ გაგონილმა წასვლისას მას ათქმევინა: „პარიზში დაბრუნებისას მამაჩემი ალბათ სიხარულისაგან იტირებს, როცა ყოველივეს ვუამბობ. თუმცა ქართული ენის უცოდინარობას ჩემთვის ხელი არ შეუშლია მეგრძნო მშობლიური სითბო და სიყვარული, მაინც უკმაყოფილო ვარ საკუთარი თავისა, რადგან იძულებული ვიყავი მესამე პირის საშუალებით გადამეცა ჩემი აღფრთოვანება ყველაზე უფრო ახლობელი ადამიანებისათვის. გადავწყვიტე გაისად კერძო ვიზიტით ჩამოვიდე ჩემს ნათესავებთან და უფრო დიდი ხნით დავრჩე. მანამდე შევეცდები კარგად შევისწავლო ქართული ენა და წერა-კითხვა. იმედი მაქვს, ამ საქმეში თქვენი საზოგადოებაც გამიწევს ხელმძღვანელობას და დახმარებას“.

ასეთივე სურვილი გამოთქვეს საქართველოს სტუმარმა ახალგაზრდებმა: პარიზელმა ალექსი რუხაძემ, ლონდონელმა ბესტავაშვილებმა, იტალიელმა ჯაფარიძეებმა და სხვებმა.

ცხადია, არ შეიძლება გულგრილნი დავრჩეთ ჩვენი თანამემამულეების ასეთი სურვილის მიმართ. კარგი იქნება, თუ გარექართველთათვის შეიქმნება ქართული ენის სახელმძღვანელო, რომელიც დაეხმარება მათ წერა-კითხვის შესწავლაში. ამ საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულონ უცხოელ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოებამ და გაზეთმა „სამშობლომ“. დარწმუნებული ვარ, ქართული ენის სახელმძღვანელო სასისარული ნობათი იქნება უცხო მხარეში მყოფი ჩვენებურებისათვის.

დედა ენა

სიმონ გუგუნავა

ჩემო ამზრდელო ენაო
აჭყვავდი იწყე ფრენაო
გისურვებ, სხვათა ენები
შემოგნატროდენ შენაო.

ენა ცხოვრების წყაროა,
უკვდავი, დაუშრობელი,
ენა კუკური ვარდია
ხალხისთვის დაუჭკნობელი,
ენა წარსულის მოწმეა
და მომავალის მშობელი,
ენა სიბრძნეა აწმყოის,
ლამპარი გაუქრობელი.

ენა აქვს კაცობრიობას
კედლად და საფუძველადა,
ენა სვეტია ერისა,
მასზედ დგას იგი მრთელადა,
ენა აზრს დაასურათებს
და შეიქმს ხორციელადა,
ენაში გამოიხატვის
ბუნების ძალა ვრცელადა.
ენაა ხალხის დიდების
სალარო შესანახავი,
წარსულთა საუკუნეთა
შენს წინა გამომსახავი;
ენა სიწმინდის კვერთხია,
უზადო, დაუზრახავი,
ენაში მოინახების
ყოველი მოსანახავი.

რა ბავშვი შობოს დედამა,
ძუძუ აქვს საწოებელი,
ერთად ძუძუსთან ენაა
იმისი მსაზრდოებელი;
ენა თან დასდევს, მსახურობს
ვითა ერთგული მხლებელი.
ენაა მისი საკვები
და მისი მაცოცხლებელი.

ენაა მანათობელი
გეირვეინი ხალხოსნობისა,
ენა სულია ცხოველი
იმისი არსებობისა,
ენა ჯილდოა ღვთიური
კაცობრიობისა გრძნობისა,
ენა ერთობის ხიდია
და კავშირია ძმობისა.

ბავშვი ენაში გაიცნობს
თავისსა გარეშემოსა,
სულიერის და უსულოს
სავანთ, სახელს და ვემოსა.
ვინც რომ ზამთარი გაცარცვ
და გაზაფხული შემოსა,
მოქალაქობას, სამართალს,
კერძოსა, გინდ სათემოსა.

დედას რომ შვილი მოსტაცო
აღარ აჩვენო თვალითა,
მშობლურის გრძნობით
ნაწლევი დაეწვის ცეცხლის
ალითა;
ვერ შეუმცირებ სატანჯველს
ვერა ყინულის წყალითა,
მაგრამ მეორეს დაბადებს
ბუნებრიობის ძალითა.

თუ ხალხს სამშობლო წაართვი
განდევნეთ სხვაგან ბნელშია,
ხალხი კვლავ ხალხად დარჩებ
არ დაინთქმება ხვრელშია;
ან შეიქმს ახალ სამშობლოს,
უდაბურს ტყე და ველშია,
ან დაიბრუნებს თავისას,
მტერს გამოსტაცებს ხელშია.

რაცა აქვს, ყველა წაართვით,
ნუ შეეხებით ენასა,
და როცა ენას წაართმევთ,
დაჰგარგავს ხედვა-სმენასა!
ვერ დაიბრუნებს წართმეულს
დაიწყებს კბილთა-ღრჭენასა,
ბოლოს გაქრება, მოკვდება,
მოსპობს სულისა ქშენასა.

ენა გვაქვს წინაპართაგან,
ვით განძი გადმონაცემი
და როგორც სჯული,
ენაა უმაღლეს-ბატივ-საცემი;
ვინც ენას დაამახინჯებს,
იქმნება მისი დამცემი,
ის ჩაითვლება საეროდ,
ვითარ იუდა, გამცემი.

ვისწავლოთ რუსთაველის ენა

სერგი წულაძე

უველაფერი, რაც ერისთვის დამახასიათებელია და მის ორიგინალურ, განუმეორებელ სახეს შეადგენს, — ისტორიის, მითოლოგიის, ხალხური სიბრძნის, ხელოვნების სახით, — ასახულია დედაენაში. ამიტომაც საკუთარი ენის ცოდნას შეუდარებელი მნიშვნელობა ენიჭება ერის სულიერი კულტურის შემეცნებისათვის. ამბობენ, ერების ურთიერთგაგებას ხშირად ენის უცოდინარობით გამოწვეული დაბრკოლება აფერხებსო.

ენის ცოდნას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მაშინ, როდესაც საქმე ეხება მშობლიური კულტურის გაცნობასა და შეთვისებას, როდესაც ადამიანისათვის საკუთარი ეროვნული ვინაობის გარკვევის საკითხი დგება.

დედაენის დაუფლების საკითხი უველაზე მეტად აწუხებთ ყარიბოში აღზრდილ იმ ქართველ ახალგაზრდებს, რომლებიც ქართული ენის ჩაქორთული ცოდნის ან სრული უცოდინარობის პირობებშიც კი გულწრფელად ოცნებობენ სამშობლოზე. საქმე ის არის რომ უცხოეთში იზრდება გადახვეწილ თანამემამულეთა მეორე ან მესამე თაობა. მართალია, ისინი შემფარებელი ქვეყნის ღირსეული შვილები გახდნენ, მაგრამ მაინც ოცნებობენ იხილონ საქართველო. ეს უსაზღვრო ოცნება მათ მშობლებისაგან მემკვიდრეობით მიიღეს.

კარგად ვიცი, გარექართველთა ახალი თაობა როგორ არის დაკავშირებული საქართველოსთან უხილავი სულიერი ძაფებით, რა დიდი სურვილი აქვთ გაეცნონ წინაპართა ქვეყანას. საქართველოსადმი პატრიოტულად განწყობილ ამ ახალგაზრდობას ქართული ენის ცოდნა გამოადგება არა მხოლოდ იმისათვის, რომ დედაენაზე ესაუბროს დედ-მამას, იქაურსა და აქაურ ნათესავებს, არამედ იმისთვისაც, რომ გამოიყენოს იგი ქართული კულტურის, ისტორიის, ლიტერატურის, ხელოვნების შესწავლისათვის, ახალ ქვეყანაში მისი პოპულარიზაციისათვის.

ვიცით, რომ საფრანგეთში მცხოვრები ქართველები, რამდენადაც შეუძლიათ, ხელს უწყობენ შვილებს ქართული ენის, სიმღერა-გალობის, ცეკვების შესწავლაში, მაგრამ როდესაც ისმება ენის საფუძვლიანი დაუფლების საკითხი, მაშინ, ფრანგულად მოაზროვნე ახალგაზრდებისათვის, ცხადია, საჭიროა სახელმძღვანელო, სადაც ქართული ენის სტრუქტურა, მისი შესწავლის პრინციპები, მეთოდიკა ფრანგული ენის დახმარებით იქნება წარმოდგენილი.

ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საფრანგეთშიც, შექმნილია ქართველოლოგიური კვლევის მეცნიერული კერები. მაგრამ ერთია ენის მეცნიერული შესწავლა და სულ სხვაა ქართული სალაპარაკო ენის დაუფლება, რაც ჩვენებურებს პრაქტიკულად ცხოვრებაშიც გამოადგებათ. ამიტომ საჭიროა გარექართველებთან კულტურული კავშირის საზოგადოება და გაზეთი „სამშობლო“ სათავეში ჩაუდგნენ თანამემამულეთა შორის ქართული სალაპარაკო ენის შესწავლისა და გავრცელების საქმეს.

ვრმად ვარ დარწმუნებული, რომ ქართული ენის დამხმარე სახელმძღვანელოს დიდი ინტერესითა და სიამოვნებით მიიღებს საფრანგეთში მცხოვრები ჩვენი ახალგაზრდობა. ქართულის ცოდნა მათ კარს გაუღებს ბრწყინვალე კულტურული ტრადიციების მქონე ქართველი ერის დიდებულ სამყაროში.

რაც თვითონ განვიცადე

ლევან ხაინდრავა

მშობლიურ ქვეყანას მოწყვეტილი ადამიანისათვის, რომელიც ცდილობს თავის ხალხთან სულიერი კავშირის შენარჩუნებას, დედაენის ცოდნაზე უძვირფასესი არაფერია. ამას ასე კატეგორიულად იმიტომ ვაცხადებ, რომ უსამშობლობა საკუთარ თავზე გამოვცადე.

დავბადე, გავზარდე და სიჭაბუკე გავატარე იმ პირობებში, რომელშიც არ მქონდა ქართული ენის დაუფლების შესაძლებლობა. მამის დახმარებით შევისწავლე მხოლოდ ქართული ანბანი. ეს იყო და ეს.

მთელი ჩემი ოცნება მიმართული იყო შორეული, ჩემთვის უხილავი მამისეული ქვეყნისაკენ. მინდოდა მცოდნოდა ხალხის ისტორია, რომლის შვილად თავს ვგრძნობდი იმ დროიდან, როგორც კი შევძელი პირველად მეთქვა, ქართველი ვარ-მეთქი.

ალბათ, წარმოიდგენთ, რა ამაყად ჟღერდა ჩემთვის ეს სიტყვები!

ყოველთვის მაღელვებდა მამისეულ მაგიდაზე სათუთად დადებული „ვეფხისტყაოსანი“. მისი ფეთქული ფურცელი ჩემთვის იდუმალი სამყარო იყო — წიგნი ხომ ქართულად იყო დაწერილი...

განვცდიდი, რომ უძლური ვიყავი შემეცნო რუსთველური პოეზიის მომხიბვლელობა, რომ არ მქონდა საშუალება გამეზიარებინა მისი გმირების ვაჟკაცური განცდები, მათთან ერთად მეზეიმა გამარჯვება!

მახსოვს, სკოლის ამხანაგებს ვუმალავდი ქართული ენის უცოდინარობას. მეშინოდა, გარეშე ადამიანებს არ დაეცინათ, არ გაეგოთ ჩემი ხვაშიადი.

კიდევ უფრო მწარედ განვიცადე მშობლიური ენის უცოდინარობა, რომელსაც სამშობლოში აღმოვაჩენდი.

დავდიოდი ჩვენი მშვენიერი თბილისის ქუჩებში და შევნატროდი ჩემ გვერდით მოსეირნე თანამემამულეს. მართალია, არ ვგრძნობდი უცხოობას, მაგრამ მათსა და ჩემ შორის ძნელად დასაძლევი უხილავი კედელი — ენის უცოდინარობა ძალზე მბრჭავდა. სამწუხაროდ, ეს ჯებირი საბოლოოდ მაინც ვერ დავძლიე — მოწიფულ ასაკში არც ისე იოლია ახალი ენის სრულყოფილი შეთვისება. მით უმეტეს ისეთი მდიდარი და დახვეწილი ენისა, როგორიც ქართულია.

მახარებს, რომ ჩემი შვილები აზროვნებენ და მეტყველებენ ქართულად. რუსთაველის, ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას პოეზიის მშვენიერი სამყარო მათთვის დედაწშია ხელმისაწვდომი.

ბოლოს მინდა გაზეთმა „სამშობლომ“ თავის ფურცლებზე დაუწესოს მუდმივი რუბრიკა, რომელიც უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს დედაენის შესწავლაში დაეხმარება.

კარგად ვიცი, ეს წამოწყება რამდენ სიხარულს მოუტანს ჩვენს თანამემამულეებს.

● არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი სული და გული — ენაა.

ილია ჭავჭავაძე

● ხალხის ენა არის მისი სული და ხალხის სული არის მისი ენა.

ვილჰელმ ჰუმბოლტი

● ქართულ ენას დიდი სიტყვის კონა აქვს, მისი ლექსიკონი ისე ვრცელია, რომ ბევრჯერ მთელი აზრი ერთს სიტყვაში მოთავსდება ხოლმე.

აკაკი წერეთელი

სიმონ გუგუნავა

(1839-1909)

შალვავ, ჩემო სიხარულო,
სიცოცხლეზე მეტად ტკბილო,
ჩემის თავის სანუგეშოდ ნაშობო და გამოზრდილო,
ბედისაგან დაჩაგრულო, დიდი ჭირის გადახდილო,
უნუგეშოდ დამწვარი ვარ, გთხოვ მოხვიდე, მომიჩრდილო!

◆

სიმონ გუგუნავას მიერ ლექსად თქმული, ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში ფართოდ გავრცელებული ეს სატრფიალო სიმღერა ისტორიული რომანის „თამარიანის“ ნაწყვეტია.

„თამარიანი“ ერთგვარი პოეტური პაექრობის შედეგია. რაფიელ ერისთავმა და სიმონ გუგუნავამ ერთდროულად, წინასწარი შეთანხმებით გალექსეს გრიგოლ რჩეულიშვილის ისტორიული რომანი „თამარ ბატონიშვილი“.

ეს ნაწარმოები პირველად 1887 წელს გამოქვეყნდა და იმდენად პოპულარული გახდა, რომ ავტორის სიცოცხლეშივე ხუთჯერ დაიბეჭდა. დღეს ბევრმა სახალხო მთქმელმა ზეპირად იცის ეს პოემა.

„თამარიანის“ პოპულარობა და ხალხში გასვლა ბევრი მიზეზით შეიძლება აიხსნას. გუგუნავას გმირებს რუსთაველის გმირებისეული სიმამაცე, სიყვარული და ერთგულება მოსდგამთ. სამშობლოს სიყვარული ასულდგმულებთ მათ. აღსანიშნავია ისიც, რომ გმირთა სახეები და მოქმედება ახლოს დგას ისტორიულ სინამდვილესთან.

სიმონ გუგუნავას შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა ქართული ფოლკლორი. მაგრამ იგი არ კმაყოფილდება ისტორიული მოვლენების მხატვრულ ფორმებში ასახვით, პოეტური ოსტატობით გადმოგვცემს გმირთა ფსიქოლოგიურ განცდებს.


„თამარიანი“ ჩვენი ხალხის გარკვეული პერიოდის ცხოვრების სურათებად წარმოდგენილი, ხალხური სიბრძნით ნაზიარები და საშვილიშვილოდ დატოვებული ნაწარმოებია, ხალხშივე გადასული და დამკვიდრებული.

პოეტის პატრიოტული, სოციალური და აღმზრდელობითი მოტივები კარგად ჩანს მის ლექსებში — „დედაენა“, „მოხუცის ანდერძი“, „ვუძღვნი მოსწავლე ახალგაზრდობას“. ფრიად საინტერესოა მისი სტატიაც — „ქართული გალობის გამო“, რომელშიც ღრმა პატრიოტული გრძნობაა ჩაქსოვილი.

სიმონ გუგუნავა, რომლის დაბადების 130 და გარდაცვალების 60 წლისთავი ახლა შესრულდა, ერთი იმათგანია, ვისაც სურდა ენახა სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლებული ქართველი ხალხი. ხანდაზმული პოეტი ამას ვერ მოესწრო. მას უყვარდა თავისი სამშობლო, რომელსაც ასე მიმართავდა:


სხვა სატრფიალო აღარ მყავს,
მოწამე არის ღმერთია, —
მხოლოდ მშთენია საყვარლად
სამშობლო ჩემი ერთია.

ვარლამ მაცაბერიძე





სერგო ზაქარიაძე 60 წლისაა



ჩვეულებრივ, როცა იუბილართან მიდიან, ულოცავენ და საჩუქარი მიაქვთ. მეც მივუტანე ბატონ სერგოს ფოტოსურათები, რომლებიც... უკანვე უნდა წამოვიღო. ამ სურათებზე ზაქარიაძეა აღბეჭდილი უგრიმოდ, ჩვეულებრივ ცხოვრებაში. ვთხოვ თვითონ გაუკეთოს წარწერა, რომ შემდეგ ჩვენს მკითხველებს შევთავაზოთ.

— აბა, რა დავაწერო, — მოუტყული თვალებით ათვალიერებს ბატონი სერგო სურათებს. — აი ამას.. თქვენ რას დაწერდით?

— დავაწერდი... მე, თევზაობის ტრფიალს რომ იტყვიან, სწორედ ისა ვარ...

— ვითომ ასე? — ფიქრობს მსახიობი, შემდეგ სურათს სწრაფად აბრუნებს, რაღაცას აწერს და ეშმაკური ღიმილით მაწვდის:

— მგონია, ეს უფრო შეეფერება.

— „ორი კურდღლის მდევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერს“...

— ახლა ეს, — და მეორე სურათის წარწერაც მზად არის: „იშრომე, იშრომე, ჩემო ნინო, სასახელო ქალი გამოდი, სამშობლოს გამოადექი“...

— შვილიშვილებზე ტკბილი რა არის ამ ქვეყანაზე, — თითქოს თავისთავს ელაპარაკება სასიქადულო მსახიობი და მესამე სურათსაც მაწვდის: — „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო... და პაპასაც“.

მასპინძელს სუფთა ქაღალდსა და ფანქარს ვაწვდი.



— ეს რაღაა? — მეკითხება გაოცებით.

— დამიხატეთ ავტოპორტრეტი.

— რას ამბობთ! ჩემ სიცოცხლეში არაფერი დამიხატავს! — უარობს მსახიობი, მაინც ხატავს. დიდხანს, დაკვირვებით უყურებს საკუთარი შემოქმედების ნაყოფს. — ამას თუ დავაწერ, ეს მე ვარ-მეთქი, თორემ ისე ვერავინ მიხვდება...

— არა, არა, ეს ნახატი არსად გამოაჩინოთ, — მთხოვს ბოლოს.

გვაპატიოს იუბილარმა, მაგრამ ვერ ვუსრულებთ ამ თხოვნას...

ლია მიქაძე

რენე ლაფონი

— ქართული უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი

თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ თავის სხდომაზე ამა წლის 16 ივნისს ბორდოს უნივერსიტეტის პროფესორს René Lafon-ს მიანიჭა საპატიო დოქტორის წოდება. ამით ჩვენმა უნივერსიტეტმა ღირსეულად დააფასა რენე ლაფონის დიდი ღვაწლი ენათმეცნიერების წინაშე.

პროფესორი რენე ლაფონი განთქმული ბასკოლოგია, რომლის კალამს ეკუთვნის მრავალი ჩინებული გამოკვლევა ბასკურის შესახებ. დასავლეთ ევროპაში ეს ენა ერთადერთია, რომელიც გადაურჩა წვალებას ინდოევროპული ენებისაგან. ამ ენაზე ლაპარაკობს მცირე ერი, რომელიც ცხოვრობს პირინეის მთების კალთებზე და ხეობებში საფრანგეთ-ესპანეთის სახელმწიფოს საზღვრის გადაღმა-გადმოღმა, ატლანტიკის ოკეანის ბისკაის ყურესთან. ბასკების მოსახლეობა ერთ მილიონამდეა, ამათგან 600 ათასი ესპანეთშია, 180 ათასი საფრანგეთში, ხოლო 250 ათასი სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში. ბასკური ენა იყოფა რამდენიმე კილოდ. აქვთ მწერლობა (ლათინური ასოებით) მე-16 საუკუნიდან.

ბასკურ ენას მოეპოვება ზოგი რამ, რაც ქართულისათვისაა დამახასიათებელი: ზმნის მრავალპირიანობა, ქვემდებარის შეწყობა სხვადასხვა ბრუნვის ფორმაში გარდაუვალ და გარდამავალ ზმნასთან (კაცი მოვიდა, მაგრამ კაცმა მოიტანა), თვლა ოცობით და სხვ.

ამ მეტად საინტერესო ენას იკვლევდნენ ცნობილი მეცნიერები: ფრანგები, გერმანელები, ესპანელები, ჰოლანდიელები, თვით ბასკები.

ცნობილი ენათმეცნიერი ჰუგო შუხართი, რომელიც რომანული ენების სპეციალისტი იყო, დაინტერესდა ბასკური ენის საკითხებით და რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოკვლევა მიუძღვნა. სხვათა შორის, მან ლინშმანთან ერთად 1900 წელს სტრასბურგში გამოსცა ლეისარრაგას პირველი ნაბეჭდი წიგნები 1571 წლისა (ახალი აღთქმა, კალენდარი და ანბანი) და წაუმძღვარა ვრცელი წინასიტყვაობა. ბასკური ენის თავისებურებათა შესწავლამ ჰუგო შუხარტს ქართული ენისა და სხვა კავკასიური ენებისაკენ უჩვენა გზა. მან ქართული კარგად შეისწავლა, უნდოდა ჩვენში მოსვლაც და აქ თავისი ცოდნის გაფართოება და გაღრმავება, მაგრამ ვერ მოახერხა. სამაგიეროდ ნიკო მარმა მოახერხა, რომ ბასკების ენა ადგილობრივ (საფრანგეთში) შეესწავლა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ზოგი რამ საერთო იპოვა ბასკურ სიტყვებსა და ქართულს შორის. ამის შესახებ კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის V ტომში (1927) გამოაქვეყნა წერილი Из Пиренейской Гурии, რომელშიც ბევრია საცილობელი.

მაგრამ ბასკურისა და ქართულის შესწავლისა და ერთმანეთთან შედარების მხრით ყველაზე მეტი და მნიშვნელოვანი შექმნა პროფესორმა რენე ლაფონმა. მან ჯერ კიდევ 1929 წელს პარიზის საენათმეცნიერო ჟურნალში გამოაქვეყნა წერილი ჩრდილო კავკასიურ და ქართველურ ენათა ურთიერთობის შესახებ, სადაც სწორი დებულებაა წამოყენებული: „ჩრდილო კავკასიისა და ქართველურ ენათა ნათესაობა შეიძლება ნაჩვენებ იქნეს მხოლოდ მაშინ, როცა შეიქმნება მათი შედარებითი გრამატიკები, თუნდაც ზოგადი სახით“. მას შემდეგ რენე ლაფონმა მრავალი გამოკვლევა უძღვნა ბასკურს. ამასთანავე იკვლევდა ქართველურსა და სხვა კავკასიურ ენებს და ადარებდა მათ ბასკურს. ასეთებია მაგალითად, „1-ლი და მე-2 პირის ნაცვალსახელები ქართველურ ენებში“ (1930), „ბასკური და ქართველური ენები“ (1933), „ხმელთაშუა ზღვის სიტყვები ქართულსა და ზოგ სხვა კავკასიურ ენაში“ (1934), „მორფოლოგიური მსგავსებანი ბასკურსა და კავკასიურ ენებს შორის“ (1951), „ბასკური და კავკასიური ეტიუდები“ (1952) და სხვა.

უკანასკნელ ხანს რენე ლაფონი საგანგებოდ და ვრცლად ეხება ბასკურისა და კავკასიური ენების შედარების საკითხს, რომლის შესახებ მან აქ, ჩვენს უნივერსიტეტსა და ენათმეცნიერების ინსტიტუტში მოხსენება წაიკითხა (1966 წლის ოქტომბერში), ამ გამოკვლევისა ჯერ დაბეჭდილია პირველი თავი და მოუთმენლად ველით შემდგომებს.

ჩინებული ცოდნა ბასკურისა და ქართული ენისა და ფართო ლინგვისტური განათლება რენე ლაფონს საშუალებას აძლევს დეტალურად და ზუსტად წარმოადგინოს, თუ როგორია ვითარება შესადარებელ ენებში.

რენე ლაფონი ყოველთვის ფხიზლად ადევნებდა თვალყურს, თუ რა კეთდებოდა ქართველური ენებისა და სხვა კავკასიური ენების შესწავლის დარგში და სისტემაზე აქვეყნებდა რეცენზიებს და ცნობებს მათ შესახებ ფრანგულად. სხვათა შორის, მან თარგმნა ფრანგულად ჩემი „გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში“ და დაბეჭდა იგი პარიზის საენათმეცნიერო ჟურნალში (1963).

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ პროფესორი რენე ლაფონი ისე კარგად ფლობს ქართულს, რომ მიწერ-მოწერა ჩვენ ქართულად გვაქვს.

პროფესორი რენე ლაფონი მეხუთეა უცხოელ მეცნიერთაგან, რომელთაც ჩვენმა უნივერსიტეტმა საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭა, ესენი არიან: ბაქტერიოლოგი ფელიქს დ'ერელი (d'Herelle, კანადელი, 1931-34 წწ. მუშაობდა თბილისის ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტში), ენათმეცნიერი ჰანს ფოქტი (H. Vogt, ნორვეგიელი, არჩეულია 1966 წ.), ისტორიკოსი დავით ლანგი (D. Lang, შოტლანდიელი, არჩეულია 1966 წ.), ორიენტალისტი ანანიან ზაიონჩკოვსკი (პოლონელი, არჩეულია 1966 წ.) და ენათმეცნიერი რენე ლაფონი, რომელსაც მეგობრულად მივესალმები მისი დაბადების 70-ე წლისთავზე და მხურვალედ ვულოცავ საპატიო დოქტორის მინიჭებას ჩვენი უნივერსიტეტისაგან.

პროფესორი აპაკი შანიძე



სურათზე: აკაკი შანიძე, ქალბატონი ლაფონი, ლევან კიკნაძე, რენე ლაფონი, გიორგი ახვლედიანი. დგანან: ივანე იმნაიშვილი, ქეთევან ძოწენიძე, გურამ მეგრელიძე, ილია ტაბაღუა, თამაზ გამყრელიძე.

სურათი გადაღებულია 1966 წელს აკაკი შანიძის ბინაში.

ღიმილის ბიჭები

ღიმილის ბიჭი ვიყავი,
ბეჭზედ არწივი მეხატა,
ცხრამეტი წლისა
შევსრულდი,
როცი არ გადამეხადა,
სამშობლოს დროშა მეჭირა,
მტერს ვეცემოდი მეხად!

გიორგი ლეონიძე.

სრულიად ახალგაზრდები იყვნენ, ჭაბუკობაში ახალფეხშედგმულნი, აი ისეთები, ქართველი კაცი რომ იტყვის — პირზე დედის რძე არ შეშრობიაო. უხაროდათ, ქვეყნად რომ გაჩნდნენ. სწავლობდნენ, იცინოდნენ, ანცობდნენ. ხიხარული დიდი ჰქონდათ, დარდი კი სულ მცირე. ბევრმა შეყვარებაც ვერ მოასწრო, მხოლოდ დედის ამბორი გაჰყვა მათ ბაგეს.

ახლა შავარშიაშემოვლებული სურათებიდან იყურებიან. მათ გალიმებულ სახეებს ძაძა არ უხდება, მაგრამ წესი წესია,— სიკვდილს სხვა ფერით ვერ შემოსავ.

უდროოდ, მუხანათურად მოვიდა სიკვდილი, ჩილიკა-ჯობის თამაშს ის იყო თავი დაანებეს და შაშხანა აიღეს ხელში. სამშობლოს მტერი შემოესია და აბა, შინ ვინ გაჩერდებოდა. ცხრა შვილისაგან ერთსაც არ იტოლებდა დედა, ბრძოლაში გზავნიდა ყველას.

მამა-პაპისაგან ასე მოდის, ქართველი მტერს ზურგს არ უჩვენებს. დიდგულა ბიჭებიც მომხდურთ მკერდით გადაუდგნენ. დაიხოცნენ, მაგრამ არც მტერი დატოვეს უნიშნოდ — თითო ათი გაიყოლა თან.

გავიდა წლები, მათ თანატოლებს თმაში ჭაღარა შეერიათ, ნაბიჯიც დაუმძიმდათ. სადღაა ის მღელვარება, ამ სამი ათეული წლის წინათ რომ ედგათ თვალში. ისინი კი, შავარშიაშემოვლებული სურათებიდან რომ ღუღურებიან, ისევ ღიმილის ბიჭებად დარჩნენ, ასე იქნებიან ხვალაც, ზეგაც, ათი თუ ასი წლის შემდეგ...

ძვირფასო მკითხველო! ჩვენი გაზეთის ფურცლებზე დროდადრო იმ ჭაბუკებზე გვინდა მოგიყვეროთ, სამშობლოს თავისუფლებას რომ შესწირეს თავი, მკერდით რომ შეკრეს დერბენდი და დარიალი, ფაშიზმისაგან რომ იხსნეს ქვეყნიერება.

ალბათ, თქვენს მეხსიერებასაც შერჩა ქართველი ახალგაზრდის სახე, რომელიც კარზე მომხდურს პირისპირ შეება, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლა, მოკვდა, მაგრამ მტრის ჯავრი არ გაიყოლია.

მოგვწერეთ მათ შესახებ.

ალალი გულით



...ბავშვობაში სუსტი იყო და ცხრა წლისას მშობლებმა სანადირო თოფი უყიდეს — სხეული ნადირობაში გაუმაგრდებაო. მერე ფრონტიდან დედას სწერდა: როგორი მადლობელი ვარ, ბავშვობიდან იარაღი, სიმართლე და გაქაცობა რომ შემაყვარეთო. ბუნებით ძალზე დაუდგრომელი, ხიფათისა და თავგადასავლის მაძებარი მირზა გელოვანი თანატოლებში ყოველთვის პირველი იყო. ორი რამ მაინც ყველაზე მეტად იტაცებდა და ხშირად ამბობდა: ან პოეტი გამოვალ, ან მსახიობიო. ალალი გულით უმღერდა სიცოცხლეს, სამშობლოს, სიყვარულს და ამიტომ იყო, ხალასი პოეტური ნიჭით დაჯილდოებული ჭაბუკის ლექსები რომ შეიყვარა ქართველმა მკითხველმა.

1939 წლის ნოემბრის ერთ სუსხიან დილას იგი გაუყვა დიდ გზას მოახლოებული გრიგალებისაკენ, საიდანაც აღარ დაბრუნებულა. 1944 წლის მაისში შეწყდა მირზას სიცოცხლე.

ცოცხალი რომ დარჩენილიყო, ახლა 50 წლისა იქნებოდა... აღასრულა თავისი ფიცი — უყოყმანოდ შეეწირა სამშობლოს. უდროოდ ჩაესვენა მზე დიდებული ჭაბუკი პოეტისა. ბევრი კარგი ლექსი დატოვა მომავალი თაობისათვის, მაგრამ უფრო მეტი სათქმელი დარჩა.

გთავაზობთ ერთ ლექსს მირზა გელოვანის „უბის წიგნიდან“.

ნუ მწერ

თ. მ...ს

ნუ მწერ, რომ ბაღში აყვავდა ნუში,
რომ მთაწმინდაზე ცა დაწვა
თითქოს,
რომ საქართველო ამ გაზაფხულში,
როგორც ყოველთვის, წააგავს
ხვითოს.

რომ ორთაჭალამ ჩაიცვა თეთრი,
რომ შენც ჩაიცვი კაბა ყვავილის,
რომ მტკვარი ოხრავს, როგორც
ყოველთვის,
როცა მეტეხის ახლოს ჩაივლის.

...წუხელ ვებრძოდი ცეცხლს და
ურაგანს,
და საშინელი ბრძოლების ნისლში
მე მომეჩვენა, სადღაც, ჩვენს უკან
აელვებული იდგა თბილისი.


ორთაჭალაში ჰყვაოდა ნუში,
მთაწმინდის მხრებზე მზე იწვა
თითქოს,
და შენ, ძვირფასო, ამ გაზაფხულში,
როგორც ყოველთვის, მოჰგავდი
ხვითოს.

ნუ მომწერ... ისეც ვიცი, რაგვარი
ფერებით ჰყვავის თბილისი ახლა,
რომ ვიღაც დადის მინდვრებში
ღამით
და დილისათვის ამწვანებს
ნახნავს.

მე ისიც ვიცი, რომ კარგ ამინდებს
მოაქვთ გულების საამო ფეთქვა,
და თუ ბოლომდის ტყვია
დამინდობს,
თუ გაზაფხულებს შევხვდებით
ერთად,—

გეტყვი, რომ მოვედ
ბრძოლანახული
და სიკვდილამდის შენთან
დავრჩები,
რომ ლამაზია მზე გაზაფხულის,
ბრძოლების შემდეგ — მზე
გამარჯვების.

1943 წელი, ფრონტი.



ᲛᲮᲔᲚᲐᲠᲘ
ფოტო ოთარ თურქიასი

გმირის სახელობისა

ეს იყო 1943 წლის დეკემბერში. უკრაინის ქალაქ ჩერკასში ხელჩართული ბრძოლა გაიმართა საბჭოთა არმიის ჯარისკაცებსა და ფაშისტ დამპყრობთა შორის. მალე ქალაქი გაათავისუფლეს მტრისაგან, მაგრამ ფაშისტთა ერთი ჯგუფი პიონერთა სასახლის შენობაში გამაგრდა და სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია ჩვენს მეომრებს. ქართველი ჭაბუკი, ასეულის მეთაური ვახტანგ ჩიქოვანი თავის მებრძოლებთან ერთად შეუმჩნევლად მიუახლოვდა სასახლეს, შეიჭრა შიგ და აიძულა ფაშისტები იარაღი დაეყარათ. ერთი წლის შემდეგ კი ვახტანგი მტერთან ბრძოლაში დაეცა. იგი დაკრძალეს სოფელ ვოდიანკის ცენტრში, დაუდგეს ძეგლი. სიკვდილის შემდეგ ქართველ კაპიტანს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ვახტანგ ჩიქოვანის სახელი ამშვენებს ახლა ჩერკასის პიონერთა სასახლის მემორიალურ დაფას. მისი სახელი ჰქვია აგრეთვე ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას.

უკვდავყოფენ უკვდავყოფენ

წყალტუბოში ცნობა მოვიდა...

წყალტუბოში ცნობა მოვიდა, რომ სოფელ ნოვოლუბიმოვკის სკოლას მიეკუთვნა ამ სოფლის ერთ-ერთი განმათავისუფლებლის, ქართველი გმირის ლავრენტი ავალიანის სახელი. ამ დღეებში მისივე სახელი ეწოდა ქალაქ ზაპოროჟიეს ახალ ლამაზ ქუჩას.

საბჭოთა კავშირის გმირი ლავრენტი ავალიანი დაკრძალულია უკრაინის მიწაზე, ზაპოროჟიეს ოლქის სოფელ ნოვოლუბიმოვკაში.

უკრაინელი მშრომელები სათუთად ინახავენ და უკვდავყოფენ ქართველი გმირის ნათელ ხსოვნას.

სპორტი

საქართველო სპორტული ქვეყანაა

ფიზიკური კულტურა და სპორტი ძლევამოსილად მიაბიჯებს ჩვენს პლანეტაზე.

დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში, ოლიმპიურ ასპარეზობებზე, მსოფლიო პირველობებზე შესანიშნავ წარმატებებს აღწევენ საბჭოთა სპორტსმენები. მათ შორის მუდამ ვხვდებით ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს — საქართველოს სპორტსმენებს.

საქართველოში ფიზიკური კულტურა და სპორტი უხსოვარი დროიდან არის ფეხმოკიდებული. მრავალი ისტორიული ცნობა მეტყველებს, რომ საქართველოში მუდამ მისდევდნენ ადამიანთა ფიზიკურ წრთობასა და გაკაჟებას, ცხენოსნობას, ჭიდაობას, სიმძიმეების აწევას, მძლეოსნობას, ეროვნულ თამაშებს. სხვაგვარად არც შეიძლებოდა. მტრულ გარემოცვაში მყოფ ქართველ ხალხს სჭირდებოდა ჯანმრთელი, ღონიერი, მარდი, მტკიცე ნებისყოფის ადამიანები, ძლიერი მეომრები. თავი რომ დავანებოთ ჩვენს უძველეს ლიტერატურულ წყაროებს, სადაც ფიზიკური კულტურა და სპორტი კულტამდეა აყვანილი და არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნ ექსპონატებს, რად ღირს თუნდაც რომაელი ისტორიკოსის ლეონ კასიუსის ცნობა იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ 198 წელს იმპერატორმა ანტონიუსმა რომში მიიწვია იბერიელი მეფე ფარსმანი თავისი ვაჟით და რჩეული ცხენოსნებით, რომლებმაც გააოცეს თვით ყოვლისმნახველი რომაელი მაყურებელიც კი. მარსის ველზე ქართველებმა ისეთი სპორტული სანახაობა გამართეს, რომ იმპერატორმა იქვე დაადგმევინა ცხენზე ამხედრებული ფარსმანის ვეება ქანდაკება.

ტრადიცია დიდ რამეს ნიშნავს. მის კეთილშობილ ნიადაგზე იზრდებიან ახალი თაობები. ადამიანთა სიჩაუქე და ძალა შვილებისაგან შვილიშვილებსა და შვილთაშვილებზე გადადის. ასე იზრდებოდნენ საქართველოში განთქმული ფალავნები: ნესტორ ესებუა და კუკა გლდანელი, კოსტა მაისურაძე და მოშიკო მაჩაბელი, მამედ ბედია და სანდრო კანდელაკი.

ქართველმა სპორტსმენებმა საქვეყნოდ გაითქვეს სახელი. განა დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც მსოფლიოს სტადიონებზე ბრწყინვალე შედეგებს აღწევდნენ მძლეოსნები ნინო დუმბაძე, ელენე გოკიელი, რობერტ შავლაყაძე, ნადეჟდა დვალიშვილი; მოჭიდავეები — არსენ მეკოკიშვილი, დავით ციმაკურიძე, გივი კარტოზია, ვახტანგ ბალავაძე, ვლადიმერ რუბაშვილი, მირიან ცალკალამანიძე, გიორგი სხირტლაძე; ტანმოვარჯიშეები — ვალო რცხილაძე, მზია ჯუღელი, გალინა შარაბიძე; კალათბურთელები — ოთარ ქორქია და ნოდარ ჯორჯიკია, წყალბურთელები — პეტრე მშვენიერაძე და ნოდარ გუბახარია; ფეხბურთელები — ბორის პაიჭაძე, გაიოზ ჯეჯელავა, ავთანდილ ღოღობერიძე, ვლადიმერ მარღანია, გივი ჩოხელი და მრავალი, მრავალი სხვა.

თანამედროვე საერთაშორისო სპორტულ ასპარეზობებში ყველაზე დიდი მოვლენაა ოლიმპიური თამაშები. 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიური თამაშებიდან მოყოლებული, როცა საბჭოთა კავშირმა პირველად მიიღო მონაწილეობა ამ ასპარეზობაში, საქართველოს 15-18 წარმომადგენელი სისტემატურად შედის საბჭოთა კავშირის დელეგაციაში და მათგან უმეტესობა შინ ჩემპიონისა თუ პრიზიორის მედლებით მკერდდამშვენებული ბრუნდება.

ცალკე რომ ავიღოთ საქართველოს წარმომადგენელთა ოლიმპიური მაჩვენებლები, დავინახავთ, რომ ესინი უსწრებენ ისეთ სახელმწიფოებს, როგორიც არის ბრაზილია, ესპანეთი, პორტუგალია, ავსტრია, არგენტინა, თურქეთი, ირანი, ბელგია და სხვა.

შარშანდელი მეხიკოს ოლიმპიური თამაშების გმირი და საბჭოთა კავშირის № 1 სპორტსმენი გახლავთ (ადრე ასეთი იყო საქართველოდან მსოფლიო ჩემპიონი და რეკორდსმენი, ველოსიპედისტი ომარ ფხაკაძე) მსოფლიო რეკორდსმენი სამხტომში, სოხუმელი აგრონომი ვიქტორ სანეევი. ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონმა, კლასიკური სტილის მოჭიდავემ რომან რურუამ, ვერცხლის პრიზიორები გახდნენ ძალოსანი დიტო შანიძე და მოჭიდავე შოთა ლომძე. ბრინჯაოს მედლები ერგოთ ჯალათბურთელებს ზურაბ საკანდელიძესა და იური კოვალენკოს.

ჩვენ გვყავს ბრწყინვალე მოჭადრაკე ქალები. ნონა გაფრინდაშვილის შეუდარებელი მიღწევები ყველამ იცის. მას მხარს უმშვენებს ნანა ალექსანდრია, საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი. იგი უდავოდ ნონას ღირსეული შემკვიდრეა.

საქვეყნოდ არის ცნობილი თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდი — საბჭოთა კავშირის ვრავალგზის ჩემპიონი, ჩვენი ქვეყნისა და ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი.

საქართველოში უდიდესი სიყვარულით სარგებლობს ფეხბურთი. მთაში თუ ბარში, დიდი თუ პატარა, ყველა ეტრფის მას, თავგამოდებით ქომაგობს თაკის ორ საყვარელ გუნდს — თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“. თბილისის „დინამო“ ერთ-ერთი უძლიერესი და მაღალტექნიკური გუნდია, იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი 1964 წელს, მრავალჯერ მოუპოვებია საპრიზო ადგილები. მისი საუკეთესო წარმომადგენლები სისტემატურად შედიან სსრ კავშირის პირველ, ოლიმპიურ და ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებში. ვინ არ იცნობს მისველ მესხს, სლავა მეტრეველს, მურთაზ ხურცილავას, რამაზ ურუშაძეს, კახა ასათიანს, ძმებს გივი და ლევან ნოდიებს, გოჩა გავაშელს...

შარშან შემოდგომაზე, ბრაზილიური ფეხბურთის საზეიმო დღეებში ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრები რიო-დე-ჟანეიროში შეხვდა მსოფლიო ნაკრებს. ჩვენი დროის უძლიერეს ფეხბურთელთა შორის თამაშობდა თბილისის „დინამოს“ წარმომადგენელი სლავა მეტრეველი.

როცა ვლაპარაკობთ ქართულ სპორტზე, არ უნდა დავივიწყოთ ის ეროვნული სახეობანი, რომლებიც ოდითგანვე იყო ფეხმოკიდებული ხალხში, რომელთა მეშვეობითაც არაერთი ახალგაზრდა გამოსულა კლასიკური სპორტის ვრცელ ასპარეზზე. ასეთია, უპირველეს ყოვლისა, ქართული ჭიდაობა, რომლის კეთილნაყოფიერ, მადლიან ნიადაგზე აღიზარდნენ ჩვენი საამაყო მოჭიდავენი. სპორტის ეროვნული სახეობებისათვის ჩვენში შეიმუშავეს შეჯიბრების წესები და ახლა ამ დაზუსტებული კანონებით მიმდინარეობს ასპარეზობა ისინდში, ცხენბურთში, ყაბახში, ლელობურთში...

რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ეთმობა მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებას. საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში დიდი პოპულარობით სარგებლობს საწარმოო ტანვარჯიში, რომელიც ახალისებს და აჯანსაღებს მშრომელებს. სკოლებში, ტექნიკუმებში, უმაღლეს სასწავლებლებში შექმნილია მრავალი სპორტული სექცია, ქალაქად თუ სოფლად შენდება ახალი სპორტული ბაზები, სტადიონები, საცურაო აუზები, დარბაზები, კორტები, იპოდრომები.

ქართული სპორტი ასეთი აღმავლობის გზაზე არასოდეს ყოფილა. მის ულევ, საამედო ცვლას წარმოადგენს ნორჩი ფიზკულტურელების ის დიდი მასა, ყოველდღიური მეცადინეობით, დაუღალავი ჭრთობით გზას რომ იკაფავს უმაღლესი კლასის ოსტატობისაკენ და მზარს უსწორებს უფროსი თაობის სპორტსმენებს.

გიგიკო ქორქია





● საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის გადაწყვეტილებით თბილისში გაიხსნება სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლა, რომლის ხელმძღვანელადაც დანიშნულია სპორტის დამსახურებული ოსტატი მიხეილ მესხი.

მუვიდოზით, დიდ ფეხბურთს!

ასაჩის სასტვენის ხმა. გათავდა პირველი ტაიმი. მიხეილ მესხთან მისმა განუყრელმა მეგობარმა, თბილისელთა სახელგანთქმულმა კალიჭანმა სლავა მეტრეველმა მიირბინა და გადაეხვია. წუთიც და მოედანზე მყოფი ყველა ფეხბურთელი გერთიანით შეიკრა მესხის ირგვლივ. მაყურებელიც წამოიშალა და ფეხზე ადგარი ერთხმად გაჰყვიროდა მის სახელს. 16 ივლისის ნაშუადღევს კი, ჯერ საკავშირო დეპეშათა სააგენტომ გადასცა რადიოთი, ხოლო მერე ცენტრალურმა გაზეთმა „პრავდამ“ შემდეგი ცნობა გამოაქვეყნა: „...უშედეგოდ — 0:0 — ასე დასრულდა გუშინ თბილისის „დინამოს“ საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს საკლუბო გუნდთან, მონტევიდეოს „ნასიონალთან“. გუშინდელი ნატჩი მიხეილ მესხისათვის, საბჭოთა ფეხბურთის ამ ვარსკვლავისათვის, გამოსათხოვარი იყო, ურუგვაელებმა იგი ხელჩი აიტაცეს და საკუთარი იხრესთ ბიჭელთა მჭუხარე ტაშით გრიალში“.

დიდი ფეხბურთის ქვეყნიდან მოსულმა სჯეროვრებმა აი ასე სცეს პატივი ჩვენ სპორტსმენს, აღელვებული რამ რიცხლმებოდა განშორებით ნაღვლიანად თავის ერთგულ თაყვანისმცემლებს. მატჩის შემდეგ ურუგვაის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელმა განაცხადა. — მიკვირს, ასე ადრე რომ ტოვებს ბრწყინვალე № 11 დიდ ფეხბურთსო.


დიახ, 32 წლის, ჯან-ღონით სავსე ლეგენდარული მარცხენა ფრთამ სწორედ იმ მომენტში დატოვა მწვანე მინდორი, როცა წლევანდელი საკავშირო პირველობის ძირიმე, ბაკრამ ასრულებული ბრძოლაში ასე გაჭირდება ფრთები.

ბევრი შეიძლება დაიწეროს ფეხბურთელზე, რომელიც ზედიზედ რამდენჯერმე ჩვენი პლანეტის იდეალური ნაკრების მარცხენა გარემარბად აღიარეს. ფეხბურთზე უსაზღვროდ შეყვარებულმა ბურთით შეიოიარა მსოფლიო და შორს გაუთქვა სახელი ქართულ ფეხბურთს. თეორეტიკოსები მასზე ათეულობით შრომას წერდნენ და სასწავლო-სახელმძღვანელო კინოფილმებს იღებდნენ კარის მისადგომების ვასაძლიერებლად. ნავარამ მისი შეჩერება შეუძლებელი იყო. მიხეილ მესხმა საკუთარი თავი თითონვე შეაჩერა ურუგვაელებთან ჩვეული ელეგანტით გამართულ გათხსათხოვარ ნატჩში და სპორტული კარიერა დაასრულა ზუსტად ისე, როგორც დაიწყო ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ — ბურთის გატანის წყურვილით აღგზნებულმა და საერთო სიყვარულით გარემოსილმა.

ვაჟა წლებს. მატჩების ნაპირებიდან ახალი შეგარდენი წამოფრინდება და ჯერაც მოუხვეშს სახელს ქართულ ფეხბურთს. ჩვენ კი მოვძებნით ამონაჭრებს ძველ გაზეთებიდან, ჩავუჯდებით ქინოჩრონიკის არქივს, ან სულაც საკუთარ მეხსიერებაში აღვადგენთ კადრებს იმ ქარიშხლიანი დღეებისა. ჯანზე მაისურშემოხვეული, გაფთრებული № 11 ფეხბურთელი სან ვაცვლს შორის ბრძოლით რომ იკაფავდა გზას წინააღმდეგის კარისაკენ, როცა ხელმარჯვენა სახვინთებული ავთანდილ ღოღობერიძე ბომბრძოლდა. ხოლო ზურგსუკან ზღაპ შთაგონებით შოთა იამანიძე მოჭროდა და... მაშინ. ალბათ, იმასაც გავიხსენებთ თუ როგორ მოიკრწყოდა ურუგვაელთა მხრებზე სამუდამოდ გამარჯვებული, პირნათელი. მაგრამ გაფითრებული მიხეილ მესხი და როგორ ბუბუნებდნენ სევდიანად სტადიონის შებინდებული ტრიბუნები.

ვასილ მჭედლიშვილი





● სურათზე: (მარცხნივ) შოთა ქველიაშვილი, სსრ კავშირის წლევანდელი რეკორდსმენი ჩოქვით მდგომარეობაში შაშხანით ტყვიის სროლაში; (მარჯვნივ) ომარ ფხაკაძე — ჩვენი ქვეყნის 1969 წლის ჩემპიონი სპრინტერულ სრბოლაში.



შაბის საკადრისი სიცოცხლე

1960 წელი. ინგლისელები გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს მთამსვლელს, რომელიც მიუვალ კლდეზე ასწაულებრივად მიცოცავს. ამ ბოლო ნაბიჯიც და ქვემოთ შეკრებილთ აღტაცების შეძახილი აღმოხდათ. ინგლისის დედოფალი სპორტსმენს „კლდის ვეფხვად“ ნათლავს. ამ ეპითეტით შემდეგში ხშირად იხსენიებენ ქართული და, საერთოდ, საბჭოთა ალპინიზმის სკოლის ღირსეულ წარმომადგენელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატსა და საერთაშორისო კლასის ოსტატს, კლდეზე ცოცვის უბადლო დიდოსტატს, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონს მიხეილ ხერგიანს.

მიხეილის სტუმრობა ახსოვთ კავკასიონისა თუ პამირის ზვიად მწვერვალებს. მარტო სახელების ჩამოთვლაც საკმარისია: ჯაილიკი და თუთუშაშის კედელი, სტალინის პიკი და ტიანშანის უსახელო მწვერვალი, რომელსაც შემდეგ ვაჟა-ფშაველას სახელი უწოდეს, ლენინის პიკის ორჯერ დალაშქვრა და მის მწვერვალზე ლენინის ბიუსტის ატანა, „უშბის სარკე“, კლასიკური მარშრუტები ბულგარეთის, ინგლისის, საფრანგეთის მთებში...

მაწ არ იცოდა შიში. სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი იოსებ კახიანი იგონებს: 1957 წელს დონღუზორუნის მწვერვალს სამხრეთის კედლიდან ვიპყრობდით. ცხრა ჯგუფმა უშედეგო იერიში მიიტანა. მეათეს სათავეში მიხეილი ჩაუდგა. თავდაპირველად ოთხნი ვიყავით, მაგრამ ორმა სულ ბოლო დროს უარი თქვა იერიშზე. მიშას წარბი არ შეუხრია და მწვერვალის დალაშქვრას ორნი შეეუდექით. მიშას წინადადებით სწორედ აქ გამოვიყენეთ პირველად ალპინიზმის პრაქტიკაში თოკის კიბე. ამის შემდეგ დონღუზორუნი აღარავის დაუპყრია სამხრეთის კედლით, ხოლო „თოკის კიბე“ მტკიცედ დამკვიდრდა მთამსვლელთა პრაქტიკაში...

1969 წლის ივლისი. იტალია. დოლომიტის მთები. სუ ალტოს შვეული კედელი. სწორედ აქ მიჰქონდათ იერიში სსრ კავშირის საუკეთესო მთამსვლელს მიხეილ ხერგიანს და მის მეწყვილეს, სპორტის საერთაშორისო კლასის ოსტატს ვიაჩესლავ ონიშჩენკოს. მიხეილი, როგორც ყოველთვის, პირველი მიიკვლევდა გზას. უცაბედად შემოსწყრა მწვერვალი. ზემოდან გრუხუნით დაეშვნენ მომწყდარი ვეება ლოდები. ქიმზე გადაჭიმულ თოკს მოხვდა სწრაფმსრბოლი ლოდი და ანაზდეულად გაწყვიტა... ჰაერში გამოკიდებულს უკვე აღარაფერი ამაგრებდა...

მთაში დასრულდა მთის კაცის ცხოვრება. სხვაგვარი სიკვდილი მისთვის შეუფერებელიც იქნებოდა. ლეგენდად კი დარჩა ცხოვრება კაცისა, რომლის ყველა ძარღვი და ნერვი ვაჟკაცობით სუნთქავდა. მან შორს გაუთქვა სახელი მშობლიურ კუთხეს სვანეთსა და მთელ საქართველოს, საბჭოთა ალპინიზმსა და სპორტს.

აი რას წერდა მის შესახებ სსრ კავშირის ალპინიზმის ფედერაციის თავმჯდომარე ბოროვიკოვი: „მიხეილ ხერგიანი დაიღუპა. დაიღუპა საუკეთესო საბჭოთა მთამსვლელი. არა მარტო ჩვენი ახალგაზრდა მთამსვლელებისათვის, არამედ გამოცდილი ოსტატებისთვისაც ის გახლდათ ეტალონი როგორც ოსტატობის მხრივ, ისე ადამიანობითაც. იგი ყოველთვის მზად იყო დახმარებოდა თავის ამხანაგს, გაეზიარებინა მისთვის, რაც კი გააჩნდა“.

... მესტიას თავს დაჰყურებს კავკასიონის მშვენება უშბა, პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, თითქოს სამყაროს მომდურებული და შორს გამდგარი გოლიათივით.

მიხეილის საფლავიც მესტიაშია, უშბის ძირას. სწორედ უშბამ მოსტაცა თვალი ჭაბუკს, ასწავლა ზემოთ ცქერა და გამარჯვების გზაც დაულოცა.

მიხეილს ჰქონდა და ბოლომდე დახარჯა კიდეც უშბის საკადრისი სიცოცხლე.

შიო ლარცულიანი

მოდაში

ამ რუბრიკით, ზოლიანი შალის ქსოვილისაგან შეკერილი (სურ. 1) საზაფხულო კოსტიუმების ავტორი მხატვარ-მოდელიორი ანა რუხაძე გვანახვებს ორიგინალური, გრძელსახელოებიანი, ოდნავ წელში გამოყვანილი ზედატანი და მსუბუქნაკეცებიანი ქვედაბოლო ძალზე მოდურია, იგი კარგად გამოკვეთს სხეულის სილუეტს. კოსტიუმს სრულყოფს ზომიერფარფლებიანი შლაპა და უელსაბამი. ამ ნიმუშის მიხედვით შეკერილი ტანსაცმელი ერთნაირად არის რეკომენდებული გამხდარი და ტანსრული ახალგაზრდა ქალებისათვის.

ქართველი სპეციალისტები ახალი მოდელების შექმნისას ყოველთვის ცდილობენ ეფექტურად გამოიყენონ ეროვნული ჩაცმულობის შტრიხები. გაგაცნობთ ერთ ნიმუშს: ეს მსუბუქი, თბილი სპორტული კოსტიუმი (სურ. 2) ძალზე ხელსაყრელი და მოსახერხებელია ტურისტებისათვის. მოდელი შექმნა მხატვარ-მოდელიორმა გეტა ნანუკაშვილმა.



სურ 1.



სურ. 3.

სასიამოვნოდ არის შესრულებული მამაკაცის საზაფხულო კოსტიუმი (სურ. 3, ავტორი ვლადიმერ სუხიტაშვილი). სარქველებიანი ჯიბეები, ლითონის ღილები, გულის ჯიბეზე დაკერებული ავტოშესაკერი, რომელიც ლითონის სრულდება, სპორტული კოსტიუმს ელეგანტურობას მატებს.

პირველად

თეატრალური ქრონიკა

მოსკოვში, მაქსიმ გორკის სახელობის სამხატვრო აკადემიური თეატრის ფილიალში 16 დღეს მართავდა წარმოდგენებს ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრი. 42 წლის მანძილზე თეატრი პირველად გაემგზავრა რესპუბლიკის გარეთ და ისიც ასეთ პასუხსაგებ გასტროლებზე — ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში.

საგასტროლო რეპერტუარში შეტანილი იყო 6 დადგმა: შოთა მილორავას „სიმღერა თბილისზე“, სულხან ცინცაძის „სიმღერა ტყეში“, ლილი იაშვილის „ბაბაჯანას ქოშები“, ვაჟა აზარაშვილის „მეცხრე ტალღა“, გიორგი ცაბაძის „ჩემი შეშლილი ძმა“, იური მილიუტინის „ჩანიტას კოცნა“.

ქართველ მსახიობებს საბჭოთა კავშირის დედაქალაქი გულთბილად წეხვდა. გასტროლების ბოლოს კი საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტრომ და სრულიად რუსეთის თეატრალურმა საზოგადოებამ მოაწყვეს ქართული მუსიკალური თეატრის საგასტროლო რეპერტუარის განხილვა.

ნიჭიერმა კოლექტივმა მოსკოველთა ქება დაიმსახურა.

რუსთავის თეატრის გასტროლები

მოსკოვიდან ახლახან დაბრუნდა ქართული მეტალურგიის ქალაქის რუსთავის თეატრის კოლექტივი. საგასტროლო რეპერტუარში შეტანილი იყო პოლიკარპე კაკაბაძის „კახაბერის ხმალი“, კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ციხარი“, ლევან ჩხაიძის „ხიდი“, მაქსიმ გორკის „ფსკერზე“, ვადიმ კოროსტილოვის „ახალი წლის შემდეგ“, როსტანის „სირანო დე ბერჟერაკი“ და ედუარდო დე ფილიპოს „კომედიის ხელოვნება“.

რუსთავის თეატრს ახალგაზრდულს უწოდებენ. ეს იმიტომ, რომ არსებობის მხოლოდ ორ წელიწადს ითვლის და ძირითადად ახალგაზრდებით არის დაკომპლექტებული.

გასტროლები მოსკოვში წარმატებით დამთავრდა. სპეციალისტებმა, პრესამ, ფართო მაყურებელმა მეტალურგთა თეატრს საუკეთესო შეფასება მისცეს.



სურ. 2.

ქართული სამზარეულო

ქართული კულინარიის ხელოვნებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. საქვეყნოდ არის ცნობილი ქართული სუფრის შნო და ლაზათი, სტუმართმოყვარეობა და მასპინძლობა, პურ-მარილი. ამ შესანიშნავ ტრადიციას საუკუნეებში უდგას ფესვები. გემოვნებით შეზავებულ, არომატულ, პიკანტურ კერძებს, საამაყო სასმელებს, გულუხვ მასპინძლობასა და თავაზიანობას აღტაცებაში მოჰყავდა და მოჰყავს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ადამიანები.

საქართველოს მოსახლეობის კვება თავისებური ხასიათისაა, იგი განსხვავდება სხვა ხალხთა ეროვნული კულინარიისაგან მრავალფეროვნებით, ფართო ასორტიმენტით, განსაკუთრებული გემოვნებითი შეგრძნებებით, კულინარული დამუშავების თავისებური ხერხებითა და სხვა. ჩვენში პურის ცხობაც კი თავისებური იცის.

ქართული კერძები სამკურნალო თვისებებითაც ხასიათდება.

მისასალმებელია გაზეთ „სამშობლოს“ თაოსნობა მიაწოდოს მკითხველს ქართული კერძების რეცეპტურა. ვფიქრობთ, ეს ბევრს დაიინტერესებს. ზოგი გაიხსენებს უკვე მივიწყებულ ეროვნულ კერძს, ზოგი კი ახლად გაიცნობს. შეიძლება ჩვენს რომელსამე თანამემამულეს არ ახსოვდეს სანელებლების ქართული დასახელება, ამიტომ მკითხველს მივაწვდით ზოგიერთი მათგანის ლათინურ სახელსაც.

ძვირფასო მკითხველებო! იქნებ გვაცნობოთ, განსაკუთრებით რომელი კერძის დამზადების წესი გაინტერესებთ. სიამოვნებით გიპასუხებთ.

დღეს გთავაზობთ ორი კერძის — სალათა „საამოსა“ და საწებლით ტაბაკას რეცეპტურას.

ქიმი თამარ სულაქველიძე

სალათა „საამო“

სამი ცალი კიტრი და ორი პამიდორი დაჭერით მრგვალ ნაჭრებად.

ნახევარი ჩაის ჭიქა ნიგოზი, 2 კბილი ნიორი, 2 ღერი ქინძი (Coriandrum sativum), წიწაკა, და მარილი (გემოვნებით) დანაყეთ ერთად. მიღებული მასალა ავლესეთ ნახევარ ჩაის ჭიქა ღვინის ძმარში.

გამზადებულ კიტრსა და პამიდორს დასხით მიღებული ნიგოზიანი საწებელი. ზემოდან გემოვნებით მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში (Petroselinum sativum), რეჰანი (Ocimum basilicum) და დაჭრილი მწვანე ან თაკო ხახვი.

ტაბაკა საწებლით

საშუალო სიდიდის გასუფთავებული, გარეცხილი ვარია გაჩაჩხეთ, მხოლოდ ისე, რომ ნახევრები ერთმანეთს არ მოაშოროთ. მარილი მოაყარეთ, ცხიმიან ტაფაზე მოთავსეთ, ზემოდან თეფში დააფარეთ. სომთიმე დაადეთ და ორსავე მხარეს შეწვარეთ. ხანგამოშვებით ცხიმი დაუმატეთ.

ერთი ჩაის ჭიქა ნიგოზი, 5-6 კბილი ნიორი და მარილი (გემოვნებით) დანაყეთ ერთად. შემდეგ გახსენით ნადუღარ ცივ წყალში, ისე რომ სქელი საწებელი მიიღოთ.

შემწვარი ვარია თეფშზე გადაიტანეთ, შემოუწყვეთ მწვანილი. საწებელი სუფრაზე ცალკე ჭურჭლით მიიტანეთ.

ჩვენი ესტრადის სტუმრები

წელს საქართველოს ბევრი სახელგანთქმული საესტრადო ორკესტრი და ანსამბლი ეწვევა.

ამჟამად წარმატებით მიმდინარეობს იაპონიის საესტრადო კვინტეტ „დიზზი ფინგერსის“ გასტროლები. სულ მალე გვეწვევა სოციალისტური ქვეყნების გაერთიანებული საესტრადო ანსამბლი. მოველით გერმანელ მსახიობთა ჩამოსვლას. გვეწვევა სახელგანთქმული ესპანელი მომღერალი მიჩელი.

ცეკვის მოყვარულთ საშუალება ექნებათ ნახონ უნგრეთის ცეკვის ანსამბლის კონცერტები, რომელიც 9-10 სექტემბერს გაიმართება. საინტერესო იქნება იუგოსლავიის რადიოსა და ტელევიზიის საესტრადო ორკესტრის გამოსვლაც, რომელსაც სექტემბრის ბოლოსათვის მოველით.

უცხოელი სტუმრების გარდა ქართველ მაყურებელს თავიანთ ოსტატობას უჩვენებენ მოსკოვის, ლენინგრადის, ბაქოს, ოდესისა და სხვა ქალაქების საესტრადო ანსამბლები.



თავდასხმა

— ჩუმად, არ დაგვინახოს. შენ მარჯვნიდან შემოუარე, მე კი მარცხნივ ჩავუსაფრდები. აქეთ მოდის, არ გაუშვა! ძლივს არ ჩავიგდეთ ხელში? შემოათრიე, არ გაგვექცეს ეს არამზადა! გაჩუმდი, რა გაყვირებს! ხმა, კრინტი, თორემ გაგათავე! სჯობს ნებით გაიხადო ტანსაცმელი. არ გავიხდიო? მოგკლავ, შე უდღეურო! ნებით არ გაიხდი? ძალით გაგხდით! რასა დგახარ? სწვდი ქეჩოში. ფრთხილად. პიჯაკი არ გაუხიო. შარვალიც გახადე! შეხსენი ჭამარი და თავისით ჩასძვრება. მაგ ჭამრით უნდა აუჭრელო გვერდები სალახანას, მომავალში მაინც ისწავლის ჭკუას. რას შვრები! ცემა არ გაბედო. ბღავილით აიკლებს აქაურობას. თავი მოგვეჭრება უბანში ხელბი მაღლა! პერანგიც გაიხადე, ჰო, აი ასე! ახლა კი რეზიკო, აბახანისკენ ნაბიჯით იარ! ძლივს არ დავბანთ!..

თენგიზ კირველი.

ეროვნული საქართველოს

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30.83 მეტრი ან 2730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე. თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.50 მეტრი ან 5900 კილოგერცი.



გრამიტონ იაგორის ძე მესხიშვილს

დაბადებულს 1916 წელს ონის რაიონის სოფელ ზემო ბარში, ეძებს ძმა — ვალერი მესხიშვილი მცხოვრები თბილისში, ლენინის ქ. № 15

ამბერკი ივანეს ძე გიორგიძეს

დაბადებულს 1895 წელს მაიაკოვსკის (ყოფილი ბაღდადის) რაიონის სოფელ ხაშში, ეძებს და — ქეთევან ივანეს ასული ხარამბერიძე.

რედაქტორი
ვახტანგ ესვანჯია.

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი, რუსთაველის გამზირი № 42

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — გიორგი ათონელის ქუჩა № 25. ფასი 4 კაპ.

66188